

საკონსულტაციო მომსახურების დავალებათა აღწერა

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
RMIDP 2

სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების ხელშეწყობის კომპონენტი

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში სასტუმრო „ვილა გოდოლისთვის“
PPP კომპონენტის ფარგლებში საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის
(მისასვლელი გზა, გაზიფიცირება, ელ-მომარაგება, ინტერნეტი) დეტალური
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

1. შესავალი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია მოახდინოს სახსრების მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისა და საქართველოს ფინანსური ორგანიზაციებისაგან, რათა ხელმისაწვდომი გახადოს ამ სახსრების ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება. ამავდროულად, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას. ფონდის პროგრამებით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში - ფონდი) ახორციელებს რეგიონული განვითარების პირველ, მესამე და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტებს.

აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის კომპონენტს. კერძო ინვესტიციის წახალისების მიზნით, საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკთან ერთად ეხმარება კერძო მეწარმეებს განახორციელონ ინვესტიცია ტურიზმისა და აგრობიზნესის სექტორში. საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა განისაზღვრება არა უშუალოდ ბიზნეს პროექტის დაფინანსებით, არამედ მათთვის მომიჯნავე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობით.

სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების კომპონენტის ფარგლებში დონორთან შეთანხმებით განსაზღვრულია სოფელ რუისპირში სასტუმრო „ვილა გოდოლისთვის“ კომპონენტის ფარგლებში საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის (მისასვლელი გზა, გაზიფიცირება, ელ-მომარაგება, ინტერნეტი) დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

წინამდებარე ტექნიკური დავალება მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად აღნიშნული ქვეპროექტისათვის.

2. ობიექტების მოკლე აღწერა

დასაპროექტებელი ობიექტები წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში მყოფ არსებულ გზას. სასტუმრო „ვილა გოდოლისთვის“ მისასვლელი გზა გადის ცენტრალური გზის გადასახვევიდან ტყეში, დაუსახლებელ ტერიტორიაზე. გზის სიგრძე შეადგენს 1 800 მ-ს (დაზუსტდეს ადგილზე) სავალი ნაწილის სიგანე 4-6 მ-ს. გზა გრუნტის საფარიანია, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. გზა ქანობიანია, არ გააჩნია კიუვეტები და წყალამრიდი მილები. ნალექების დროს წყალი მიედინება სავალ ნაწილზე, რის გამოც ხდება ჩარეცხვები. სასტუმრო „ვილა გოდოლისთვის“ გასათვალისწინებელია გაზიფიცირება და ელ-მომარაგება.

3. დავალების მიზანი

მომსახურების მიწოდება მიზნად ისახავს კაპიტალური საგზაო სამოსის გათვალისწინებით არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას, რაც გულისხმობს საპროექტო მონაკვეთზე გზის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური და ზოგადი სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლებისა და მონაცემების განხილვას, შესწავლასა და გაანალიზებას, სოციალური და ეკონომიკური შეფასებებისა და ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით. სრულყოფილი შეფასების/საპროექტო კვლევის ჩატარებას სარეაბილიტაციო მონაკვეთებზე.

დავალება #1:

საპროექტო კვლევა უნდა მოიცავდეს არსებულ მიმართულებას, ტექნიკურ კვლევასა და გზის პროექტირებას, ტრანსპორტის მოძრაობის ანალიზს, ეკონომიკურ და სოციალურ ანალიზს, მოსაზრებებს განსახლებასთან, არქეოლოგიურ კვლევებთან და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ის უნდა ასახავდეს გარემოზე ზემოქმედებისა და შესაძლო დასაკავებელი მიწებისა და განსახლების საკითხებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დავალებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად მიმწოდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს:

- გზის პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს V კატეგორიას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ეროვნული სტანდარტების (სსტ გზები: 2009) მოთხოვნებს.
- გზის სამოსის კონსტრუქცია გაანგარიშებული უნდა იქნეს ერთ ღერძზე დატვირთვით 100კნ.
- საავტომობილო გზის საფარად გათვალისწინებული უნდა იყოს კაპიტალური (ლანდშაფტთან შეხამებით) საპროექტო გადაწყვეტილებით.
- წყალგამტარი მილები უნდა აკმაყოფილებდეს 80 ტ ბორბლიან დატვირთვას (საანგარიშო დატვირთვების მიხედვით AA-11 HK-80).
- გზაზე გასათვალისწინებელია კიუვეტები, გასაწმენდია ზედმეტი გრუნტისაგან, წყალამრიდი მილები საჭიროების შემთხვევაში და ასევე მიერთებები მისი არსებობის შემთხვევაში.

- გზის მთელ სიგრძეზე მოსაწყობია გარე განათება ეკონომიური ნათურებით და „სიპ“ კაბელებით.
- გაზიფიცირების (სიმძლავრე: 180 მ3/სთ) ელ-მომარაგების (სიმძლავრე: 600 კვტ / 3 ფაზა) და ინტერნეტის საპროექტო მასალები უნდა მომზადდეს არსებული ნორმების და წესების მიხედვით (პარამეტრები მოწოდებული იქნება მომხმარებლის მიერ დამატებით და უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან)

დავალებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

- შემსყიდველთან შეთანხმებული ვარიანტის მიხედვით მოამზადოს დეტალური სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც შედგენილი უნდა იყოს საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გეომეტრიული და სტრუქტურული სტანდარტებითა და საქართველოში მოქმედი სხვა სტანდარტებისა და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებით. ნორმებში რაიმე განსხვავებული დაშვებების აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციფიური ნორმის დაშვებისას, ან მისი შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული შემსყიდველთან.
- ავტოტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესებისა და სამუშაოების ღირებულების შემცირების მიზნით, საავტომობილო გზის სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები);
- საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები (გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფისა და განთავისუფლების, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას);
- მოახდინოს უახლოესი მოქმედი კარიერებისა და ინერტული მასალების მიმწოდებელი პოტენციური ორგანიზაციების შერჩევა;
- გაითვალისწინოს საავტომობილო გზების დარგში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები, ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენება, საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;
- გზებზე ხელოვნური ნაგებობები (ხიდები, მილები, საყრდენი კედლები და ა.შ.) უნდა დაპროექტდეს საქართველოში მიღებული სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით.

1.1. გასაწევი ღონისძიებების ჩამონათვალი და თანმიმდევრობა

1.2. საძიებო - კვლევითი სამუშაოები:

საძიებო-კვლევითი სამუშაოებისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

- საპროექტო გზის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა თითოეულ კილომეტრზე 3 განივი პროფილით 2 შურფის მოწყობის მეთოდით სიღრმით 3,0 მ. და გრუნტის ნიმუშების აღებით;
- დამეწყრილი მონაკვეთების დეტალური შესწავლა;
- ახალი წყალგამშვები მილების საფუძვლის შესწავლა მექანიკური, სვეტური ბურღვის მეთოდით თითოეულ მილზე 1, ან 2 (საჭიროების მიხედვით) ჭაბურღილების გაყვანით სიღრმით 1,0 მ-დე გრუნტის ნიმუშების აღებით;

- არსებულ სახიდე გადასასვლელებზე ბურჯების ფუნდამენტებისა და არსებული საყრდენი კედლების ფუნდამენტების მდგომარეობის შესწავლა;
- ჭაბურღილებისა და შურფებიდან აღებული გრუნტის ნიმუშებისა და მონოლითების ლაბორატორიული კვლევის ჩატარება და მათი შედეგების გაანალიზება;
- საპროექტო გზის საინჟინრო – გეოლოგიურ აღწერა და ადრე ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების მასალების შესწავლა და გაანალიზება;
- ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება UTM კოორდინატთა სისტემაში (GeoCORS);
- საჭიროების შემთხვევაში ტრასის ახალი მიმართულების დადგენა;
- რელიეფის ტოპოგრაფიული გადაღება გზის ღერძიდან 50 მეტრში ორივე მხარეს, რომელიც დამუშავებული უნდა იყოს აბსოლუტურ სკოორდინატთა სისტემაში;
- ტრასის პიკეტაჟი;
- ტრასის ნიველირება;
- განივი პროფილების გადაღება მრუდეებსა და მთაგორიან ადგილებში ყოველ 20 მეტრში ;
- ტრასის მისაბმელად პროფილში მუდმივი და დროებითი რეპერების მოწყობა ხელოვნურ ნაგებობებთან, დიდ ხიდეებთან მდინარის ორივე მხარეს, დიდ ჭრილებთან ჭრილის დასაწყისთან ორივე მხარეს, ხოლო სწორ ადგილებში ყოველ 1200 მ-ში;
- შემსყიდველისთვის ტრასის დამაგრება და რეპერები ჩაბარება სათანადო აქტით;
- დამეწყრილი ადგილების, სახიდე გადასასვლელების, მცირე ხელოვნური ნაგებობების მოწყობის ადგილების დეტალური შესწავლა.
- შერჩეული კარიერებიდან საპროექტო ტრასამდე ზიდვის მანძილების დადგენა;
- სავალი ნაწილის არსებული საგზაო სამოსის კონსტრუქციის გამოკვლევა;
- არსებული ხელოვნური ნაგებობების შესწავლა (საყრდენი კედლები, ხიდები, წყალგამტარი მილები და ა.შ.);
- ზედაპირული წყლების მოცილების ღონისძიებების შესწავლა და ანალიზი;
- არსებული მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების მდგომარეობის შესწავლა და დატანა სიტუაციურ გეგმაზე;
- საპროექტო გზის ბუფერში არსებული ხე მცენარეების აღწერა, რომელიც შემდგომში გათვალისწინებული იქნება ხარჯთაღრიცხვაში.
- საჭიროების შემთხვევაში საპროექტო გზის განთავისების ზოლში მოხვედრილი საკუთრების მიწის ფართობების რაოდენობისა და მათი სახეობების (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და სხვ.) განსაზღვრა;
- გზის მიმდებარე და პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ფიზიკური გარემოს (გეოლოგია, გეომორფოლოგია, საშიში გეოლოგიური პროცესები, ეროზია, ნიადაგი, ლანდშაფტები, კლიმატი, ჰიდროლოგია, ჰიდროგეოლოგია, წყლის ხარისხი, ფლორა, ფაუნა, კულტურული მემკვიდრეობა, არქეოლოგია და სხვა) შესწავლა;

1.3. კამერალური სამუშაოები

საძიებო-კვლევითი სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კამერალური სამუშაოების ჩატარება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- გზის ტრასის სიტუაციური გეგმა დაპროექტების სირთულის პირობების მიხედვით რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000; გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000;
- გზის გრძივი პროფილი გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000 _ 1 : 200, ხოლო რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000 _ 1 : 100;
- განივი პროფილები რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 100 სწორ ადგილებში მასშტაბში 1 : 200;

- ტოპოგრაფიული გეგმები ნორმალურ პირობებში მასშტაბში 1 : 1000 რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 500;
- სიტუაცია ტრასის გეგმაზე და გრძივ პროფილზე დატანილი უნდა იყოს სამშენებლო ნორმებით განსაზღვრული პირობითი ნიშნების გამოყენებით;
- საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპოგრაფიულ გეგმებზე დატანილი იქნას რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გეგმა საკადასტრო საზღვრების და კოდის მითითებით;
- ყველა ნახაზზე უნდა იყოს აღნიშნული პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების გვარები და მათი ხელმოწერები.

1.4. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ქვემოთ მითითებულ დოკუმენტებს, რომელიც შედგენილი უნდა იყოს საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გეომეტრიული და სტრუქტურული სტანდარტებითა და საქართველოში მოქმედი სხვა სტანდარტებისა და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებით. (ნორმებში რაიმე განსხვავებული დაშვებების აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციფიკური ნორმის დაშვებისას, ან მისი შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული შემსყიდველთან).

- განმარტებითი ბარათი;
- საპროექტო გზის გეგმა;
- გრძივი პროფილები გზის ღერძის გასწვრივ, რომელიც უნდა შეიცავდეს საპროექტო (წითელ), მიწის (შავ) და მუშა ნიშნულებს, კილომეტრაჟს, პიკეტაჟს და მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, გრძივი ქანობების, ვერტიკალური და ჰორიზონტალური მრუდების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად, დატანილი უნდა იყოს საპროექტო და არსებული ხელოვნური ნაგებობები პარამეტრებით.
- განივი პროფილები, გადაღებული უნდა იყოს ყოველ 20 მ-ში (საჭიროების მიხედვით) და მახასიათებელ წერტილებში, რომელიც უნდა შეიცავდეს საპროექტო (წითელ), მიწის (შავ) და მუშა ნიშნულებს, მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, განივი ქანობების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად, მიმდებარე სიტუაციას. დატანილი უნდა იყოს საპროექტო და არსებული ხელოვნური ნაგებობები პარამეტრებთან ერთად).
- საგზაო სამოსის კონსტრუქცია შესაბამისი ანგარიშების გათვალისწინებით (შემსყიდველთან შეთანხმებით);
- წყალამრიდი და სადრენაჟო კონსტრუქციების პროექტი;
- მდინარეებისა და ჩამონადენი წყლების ჰიდროლოგიური ანგარიში;
- სახიდე გადასასვლელების პროექტი მოსალოდნელი მაქსიმალური დატვირთვების გაანგარიშებით;
- ყველა აუცილებელი უწყისი (პროექტის შესაბამისად) :
- მშენებლობის კალენდარული გრაფიკი;
- მშენებლობის ორგანიზაცია;
- მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შედგენილი უნდა იყოს როგორც რესურსული ისე ლოკალური სახით .ხარჯთაღრიცხვის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოცემული ფასები.
- სატენდერო დოკუმენტაციისათვის ტექნიკური სპეციფიკაციები რომელიც ცალკე უნდა დაერთოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას და უნდა მოიცავდეს სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის/კონტრაქტორისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის

მითითებით) გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობა-დანადგარებისათვის, სამუშაოთა შესრულების/გამოცდის მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისთვის.

1.5. მომსახურების გაწევისას აუცილებელი სპეციალისტები

დავალებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდი. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ძირითადი სპეციალისტების კანდიდატურების შემსყიდველთან შეთანხმება. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველის დასაბუთებული არგუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოს ძირითადი სპეციალისტების ჩანაცვლება სხვა უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მიზნით მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქვემოთ მითითებული კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ძირითადი სპეციალისტების ჩართვა.

1. გუნდის ხელმძღვანელი – საგზაო/სამოქალაქო ინჟინერი არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით;
2. ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
3. ტოპოგრაფიული კვლევის სპეციალისტი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
4. ინჟინერ-გეოლოგი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
5. საგზაო ინჟინერი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით.
6. ელექტრიკოსი -არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით.
7. გაზმომარაგების ტექნოლოგი -არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით.

საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ იქნას რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გეგმა საკადასტრო საზღვრების და კოდის მითითებით.

2. კონსულტანტის ექსპერტები და გამოცდილება:

კონსულტანტმა დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მაღალ დონეზე შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მობილიზება (როგორც ძირითადი სპეციალისტების, ასევე დამხმარე ტექნიკური პერსონალის).

ყველა ექსპერტს უნდა გააჩნდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილების სტაჟი.

მოთხოვნილი ექსპერტების ჩამონათვალი, საკონსულტაციო მომსახურებაში მათი ჩართულობა და მინიმალური მოთხოვნილი გამოცდილება:

	ექსპერტის პოზიცია	რაოდენობა	ჩართულობა/კაც-თვე	ჯამური კაც-თვეები
	ძირითადი ექსპერტები			
1.	ჯგუფის უფროსი	1	2	2
2.	საგზაო ინჟინერი	1	2	2
3.	გეოდეზისტი	1	2	2
4.	გეოლოგი	1	1,5	1,5
5.	ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი	1	1	1
6.	გაზმომარაგების სპეციალისტი	1	2	2
7.	ელექტრიკოსი	1	1,5	1,5

ძირითადი ექსპერტები: 12 კაც-თვე			
	არაძირითადი ექსპერტები		
2.	ხარჯთაღმრიცხველი	1	1
3.	გარემოს დაცვის სპეციალისტი	1	1
არაძირითადი ექსპერტები: 2 კაც-თვე			
სულ: 14 კაც-თვე			

წამყვანი ექსპერტების საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერა

სპეციალიზაცია	გამოცდილება მითითებულ დარგში (წლები)	სპეციალიზაციის სფერო, კვალიფიკაცია
ჯგუფის უფროსი	10	სამოქალაქო მშენებლობა - გზის პროექტირების მართვა, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება); საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით
საგზაო ინჟინერი	5	სამოქალაქო მშენებლობა - გზის პროექტირება, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება); საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით
გეოდეზისტი	5	სამოქალაქო მშენებლობა - მიწის კვლევა, ტოპოგრაფია და გეოდეზია და მსგავსი მასშტაბის და ტიპის პროექტის განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება) საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით
გეოლოგი	5	სამოქალაქო მშენებლობა - გეოტექნიკური ინჟინერია, საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით
ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი	5	სამოქალაქო მშენებლობა - გზის პროექტირება, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება); საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით
გაზმომარაგების სპეციალისტი	5	სამოქალაქო მშენებლობა - გაზსადენის პროექტირება, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება);

		საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით
ელექტრიკოსი	5	მექანიკური და ელექტრო ინჟინერია- მექანიკური და ელექტრო აღჭურვილობების, ელექტრო ენერჯის მომარაგების და განათების სისტემების დიზაინი; საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით

3. ანგარიშგება და განრიგი

ხელშეკრულების გაფორმების მომდევნო დღიდან **4 (ოთხი) კვირის** ვადაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს ჩატარებული საძიებო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში, რომელიც მომზადებული უნდა იყოს წინამდებარე დანართით N1 (შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია) გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ხელშეკრულებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი წარმოდგენიდან წარმოდგენიდან **1 (ერთი) კვირის** ვადაში განიხილავს საძიებო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშს და იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი ანგარიშები შეესაბამება წინამდებარე დანართით N1 გათვალისწინებულ მოთხოვნას შემსყიდველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიღებას, ხოლო ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს **2 (ორი) კვირის** ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება და შემსყიდველის ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით წარდგენილი შენიშვნების ან კომენტარების გათვალისწინებით მიაწოდოს შემსყიდველს საძიებო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში.

3.1. საძიებო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს **5 (ხუთი) კვირის** ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესათანხმებლად პროექტის საწყისი ვარიანტი. შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირი პროექტის საწყისი ვარიანტის მიღების მომდევნო სამუშაო დღიდან **1 (ერთი) კვირის** ვადაში წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიაწვდის მიმწოდებელს კომენტარებს პროექტის საწყის ვარიანტთან დაკავშირებით.

3.2. პროექტის საწყის ვარიანტთან დაკავშირებით შემსყიდველის ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ კომენტარების გადაცემის მომდევნო დღიდან **1 (ერთი) კვირის** ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია კომენტარების გათვალისწინებით შეიტანოს ცვლილებები საპროექტო დოკუმენტაციებში (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) და წარუდგინოს შემსყიდველს თითოეული დასაპროექტებელი ობიექტის საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

3.4. საბოლოო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჩაბარების დღიდან მოდევნო **1 (ერთი) კვირის** ვადაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თითოეული პროექტის შეთანხმების დოკუმენტი.

4. მომსახურების მიწოდების ფორმა და ადგილი:

4.1. მომსახურების ყველა ეტაპის ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით.

4.2. საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ელექტრონულ ფორმატში (MS Word და Excel ფორმატში, გრაფიკული ნაწილი -

AutoCAD ან ArchiCAD ფორმატში. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, ასევე, ნახაზების წარმოდგენა PDF ფორმატში. კომპაქტური დისკებით (CD ან DVD) სახით.), ასევე ბეჭდური ვერსიით მყარი ასლების (A4 და A3 ფორმატში).

4.3. საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ინდივიდუალურ არქიტექტურულ ალბომად, 4 (ოთხი) ეგზემპლარად, მათ შორის 3 (სამი) ეგზემპლარი ქართულ ენაზე, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი ინგლისურ ენაზე. შემდეგნაირად:

4.4. მომსახურების ყველა ეტაპის ანგარიში, საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შეთანხმების დოკუმენტები წარდგენილ უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

5. შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მომსახურების გაწევისათვის.

6. განსაკუთრებული პირობა

სარეაბილიტაციო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგში, ასევე ტექნიკური დავალების დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.

7. პროექტის ვადა:

მომსახურების მიწოდების ვადაა 3 თვე.